

ნოდარ შენგელია მუჰიმე დავთრები*

მუჰიმე დავთრები წარმოადგენს საუკეთესო წყაროს ოსმალეთის იმპერიისა და მასში შემავალი ქვეყნების რიგი საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად. წყარო უთუოდ მაღალმეცნიერული ღირებულებისაა. იგი ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. იგი მოიცავს 285 ტომს. თითოეული ტომი განლაგებულია ამავე არქივის სამკითხველო დარბაზის სალონში და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. პირველი ოცი ტომი ითვლება ერთგვარ შესავლად, რომელსაც თურქები მუკადებეს უწოდებენ.

ამ ტომების გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ქართლის ცხოვრებითა და საქართველოს სიძველეებით არ შეიძლება მომავალში საქართველოს ისტორიის გამართვა. საჭიროა აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემული ცნობების გათვალისწინება. მართალია, დღეისთვის ხელზე გვაქვს ქართლის ცხოვრების ისეთი გამოცემა, რომელიც აკად. როინ მეტრეველმა გამოსცა. გაივლის ალბათ წლები და მუჰიმე დავთრებში მოცემული ცნობები სრულიად ახალი ეტაპი იქნება საქართველოს ისტორიაში. საქმე იმაშია, რომ ამ მრავალტომეულში გადმოცემული ცნობები უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის გარდასული უამის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ 285 ტომში გადმოცემული ცნობები მეტად მრავალმხრივია. დოკუმენტებში ფართოდაა მსჯელობა მრავალ ისეთ საკითხზე, რომლის შესახებ საერთოდ არაა საუბარი ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში. ამ კრებულში საუბარია როგორც ოსმალეთის იმპერიის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ასევე საუბარია საქართველოს ცალკეულ სამეფო სამთავროებზეც. კერძოდ, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აჭარის, რაც მთავარია ტაო-კლარჯეთის ისტორიის მრავალ საინტერესო საკითხზე. კრებულში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული ამბები. იგი მოიცავს პერიოდს XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე. გადმოცემულია ცნობები ამათუ იმ რეგიონის საშინაო და საგარეო ურთიერთობებზე. ამიტომაც აღვნიშნე, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როდესაც მოხერხდება მთელი ამ მასალის შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, როდესაც მთელი ეს უზარმაზარი მასალა ხელმისაწვდომი გახდება ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის და მას ქართველი მეცნიერები ისე თავისუფლად მოიხმარენ, როგორც ნებისმიერ ქართულ მასალას, მაშინ ნათელი გახ-

* სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 217624 გრანტის ფარგლებში.

დება ხსენებული დოკუმენტების მაღალი მეცნიერული ღირებულება და სანდოობა.

ამ შემთხვევაში მე აღმოვიჩინე ძალიან მძიმე მდგომარეობაში. თურქეთში მივლინებული ვიყავი ორი წლით, აქედან ნახევარი წელი გავატარე ანკარის არქივებსა და წიგნსაცავებში. მრჩებოდა წელიწადნახევარი. ამ ხნის განმავლობაში ყოვლად შეუძლებელი იყო დიდი მასალის ქსეროქსზე გადაღება და საქართველოში წამოღება. გარდა ამ დოკუმენტებისა ამ არქივსა თუ სხვა არქივსაცავებში უამრავი მასალა იყო თავმოყრილი და შეუძლებელი იყო მათი მოძიება.

დავინწყე ამ კრებულზე ინტენსიური მუშაობა. ამ საქმეში დიდ დახმარებას მინევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის დოცენტი თამარ ფაცვანია. მისი ყოველდღიური დახმარებით შევუდექი ამ მეტად მძიმე და საშვილიშვილო საქმის შესრულებას. ერთობლივი ძალებით შეუდექით ამ კრებულში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების მოძიებას და მათ ქსეროქსზე გადაღებას. შიფრების მითითების დღეს ეს წყარო ხელთა გვაქვს.

მისი დამუშავება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა მეტად რთულია. საქმე იმაშია, რომ წყაროები დაწერილია სიაკათის ურთულესი ხელით. გარდა ამის ამ დოკუმენტების ლექსიკის ორმოცი პროცენტი არაბულია, მეორე ორმოცი პროცენტი სპარსული ლექსიკაა. მხოლოდ ოცი პროცენტია ნამდვილი ოსმალური ენით დაწერილი. საჭირო იყო კარგი ცოდნა არაბული და სპარსული ენების გრამატიკისა, ასევე საჭირო იყო აღნიშნული ენების ცოდნა. საამისოდ საჭიროა გაიზარდოს მთელი თაობა ქართველი ოსმანისტებისა, რომლებიც კარგად იქნებიან შეიარაღებულნი ხსენებული ენების ცოდნით და ყველაფერს ილონებენ იმისთვის, რომ საქართველოსში აღორძინდეს ქართული ოსმანისტიკა.

მგონია, რომ ნახევარი საქმე მაინც გავაკეთეთ ამ დოკუმენტების საქართველოში ჩამოტანით. როდესაც დადგება საკითხი ხსენებული წყაროების შესწავლისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისა, მაშინ უფრო დაინტერესდება ჩვენი მომავალი თაობა და მეტ ინტერესს გამოიჩენს ხსენებული ტიპის წყაროების შესწავლისადმი. გარდა ამ მუშაობის და ვთრებისა, მე მქონდა კიდევ ძალიან დიდი მისია მომეძია საქართველოს ისტორიის სხვა ტიპის წყაროები, როგორც დოკუმენტური ასევე ნარატიული ხასიათისა, ამ მხრივ არ შემინყვეტია მუშაობა და შესაბამისი ინტენსივობით გავაგრძელე მუშაობა, როგორც ამ არქივში, ასევე სტამბოლის სხვა არქივებსა და წიგნსაცავებში. სანანებლად მრჩება ისეთი არქივები, როგორიცაა კონიის ვილაიეთის არქივები და წიგნსაცავები, რადგან ფიზიკურად ვერ მოვახერხე იქ მუშაობა.

ის ვრცელი ინფორმაცია, რომელიც ამ მუშაობაში დავთრებშია წარმოდგენილი, მეტად სანდოა და რეალური მასალაა საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის წარმოსაჩენად. მხოლოდ რამდენიმე სტატიის გამოქვეყნება მოვახერხე¹. იგი ძალიან დიდი თემაა და მეტად

¹ ნოდარ შენგელია, ხუთი დოკუმენტი „მუშაობა დავთრებიდან“ სიმონ ქართლის მეფის შესახებ. – *შოთა მესხია 90* (თბილისი, 2007), 275-295; ნოდარ შენგელია, ოთხი დოკუმენტი მუშაობა დავთრებიდან თბილისის შესახებ. –

მრავალფეროვანი. რამდენიმე ათეული დოკუმენტის დედნის ტექსტის გადმოწერა, დადგენა და მისი ქართულად თარგმნა მოვახერხე. ეს მაინც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ამ კოლექციაშია წარმოდგენილი. მინდა ეს მასალა ერთ ტომად გამოვცე. ამის შემდეგ მაინც შეიძლება დაინტერესდეს მომავალი თაობა. მე ალბათ მეტს ვერ შევძლებ. ეს მასალა ძალიან დიდია. ალბათ ჩემი შემდგი თაობა მაინც დაინტერესდება და აღასრულებს ჩემს მონოდასას.

რამდენჯერ უნდა ყოფილიყო მივლინებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, რომ ეს დანაკლისი შეეცსო. როგორც მოვახსენეთ იგი ძალიან დიდი თემაა და დიდ მუშაობას საჭიროებს.

თურქეთის არქივებსა და ნიგნსაცავებში ჩემს მიერ შეძლებისდაგვარად მოპოვებული წყაროები ჩამოვიტანე საქართველოში და მისი დიდი ნაწილი ჩავაბარე საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივს. ჩემ მიერ ჩამოტანილი უნიკალური წყაროები ინახება ხსენებულ არქივში.

ეს მასალა იმდენად დიდია, რომ მისი დამუშავება მთელ თაობებს ეყოფა. მაგრამ ის რაც მე მუშაობა დავთრებიდან ამოვკრიფე მთლიანად ჩემს განკარგულებაშია. ინახება ჩემს პირად არქივში.

აქვე საგანგებოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს სიმონ ქართლის მეფის უდიდესი დამსახურება მისი ანტიოსმალურ კოალიციაში აქტიური მონაწილეობის თაობაზე. ჩვენს მიერ მოძიებულ ოსმალურ წყაროებში რამდენიმე ათეული ოსმალური დოკუმენტური წყარო ამ ფაქტის დასტურს წარმოადგენს. საქმე ის გახლავთ, რომ XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იქმნება ანტიოსმალური კოალიცია, რომლის სათავეშია ირანის შაჰი – შაჰ აბასი. მასთან არიან კავშირში სიმონ ქართლის მეფე და კახეთის მეფე ალექსანდრე. ისინი აქტიურად მუშაობენ ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. მასში ჩართონ ევროპის სახელმწიფოები. პროფ. ვალერიან გაბაშვილის განმარტებითი შაჰაბასისეული კოალიციის იდეოლოგიური საფუძველი ქრისტიანობის დაცვა იყო.

ეს კოალიცია იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აქ არის საფუძველი შაჰ-აბასის ოსმალეთთან ომის განახლების დიპლომატიური სამზადისის სათავე. მის რეალურ განხორციელებასთანაა კერძოდ დაკავშირებული სიმონ ქართლის მეფის მიერ ოსმალეთთან ომის განახლება 1598 წელს¹.

დავით კობიძე 100 (თბილისი, 2008), 267-301; ვალერიან გაბაშვილი, საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII საუკუნეებში. – ვალერიან გაბაშვილის სტატიების კრებული, ტ. 1 (თბილისი, 2016).

¹ ნოდარ შენგელია, რამდენიმე დოკუმენტი „მუშაობა დავთრებიდან“ სიმონ ქართლის მეფის შესახებ. – *პოეტური სულის მეცნიერი, გიორგი ნადირაძე 80* (თბილისი, 2012), 272-283; ნოდარ შენგელია რამდენიმე დოკუმენტი „მუშაობა დავთრებიდან“ სამხრეთ საქართველოს შესახებ. – *ელიზბარ ჯაველიძე - 75. ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული* (თბილისი, 2014),

შაჰ აბასმა, ალექსანდრე კახთა მეფემ და სიმონ ქართლის მეფემ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს და მთელ ევროპულ სახელმწიფოებს აუწყეს თავიანთი გადანყვეტილების თაობაზე. ისინი პრაქტიკულად აუწყებდნენ რომის პაპს, ესპანეთის კოროლს და იმპერატორს. საამისოდ არაერთი საინტერესო წერილია გამოვლენილი ესპანეთის არქივში. სიმონ მეფის წერილები ესპანეთში აღმოაჩინა სიმენკას გენერალურ არქივში, ცნობილმა არმენისტმა მაკლერმა¹.

ქართველი მეფე თხოვს უმორჩილესად მათ ზავი არ დადონ არავითარ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერიასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში იშლებოდა ანტიოსმალური კოალიცია. სიმონის წერილები შედგენილი უნდა იყოს თბილისში. მომდევნო წერილში სიმონ მეფე აუწყებდა ევროპას, რომ მუდამ ერთგული იქნება ანტიოსმალური კოალიციის და თუ ისინი ევროპიდან შეუტევენ ოსმალებს, ესენი თავის მხრივ მზად არიან შეებრძოლონ ოსმალთა მოძალებას. სიმონ მეფე ამას ითხოვს თავგამოდებით. სიმონ მეფე ესპანეთის კოროლს თხოვნით მოუწოდებს არ დაუშვას იმპერატორის მიერ ზავის დადება ოსმალეთთან².

სიმონ მეფის წერილები დაწერილია 1595 წლისთვის. იგი მიმართულია რომის პაპის, კეისრის და ესპანეთის კოროლისადმი. იგი ერთხელ კიდევ მოუწოდებს კოალიციას სიმტკიცისაკენ. ამგვარად, აშკარად ჩანს თუ როგორ იყო დაკავშირებული ქართული დიპლომატია მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკის საკითხებთან და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. სიმონის მრავალრიცხოვანი წერილებიდან ჩანს, რომ „ქართველ დიპლომატებს აკავშირებდათ საერთო ფორმულა“. ოსმალეთის დამარცხების გზით ქრისტიანთა გათავისუფლება, საქართველოს გამოხსნა, რასაც საქართველოს აღდგომაც უნდა მოჰყოლოდა³.

სიმონ ქართლის მეფის საქმიანობის შესახებ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მიხეილ თამარაშვილს⁴, აკად. ნიკო ბერძენიშვილს⁵ და ვალერიან გაბაშვილს⁶, რომლებმაც ბევრი იღვანეს სიმონის მიერ მიწერილი წერილებისათვის მიეკვლიათ, მაგრამ ამაოდ. თანამედროვე

173-190; ვალერიან გაბაშვილი, საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII საუკუნეებში.

¹ Revue des Études Armeniennes. Tom Premier, Fascicule 1 (Paris. 1920), 73, 80, 89.

² ვალერიან გაბაშვილი, საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII საუკუნეებში, 45.

³ იქვე, 47.

⁴ მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შეტანითა და განმარტებით, მეთვრამეტე საუკუნიდან ვიდრე მეოცე საუკუნემდე (თბილისი, 1902).

⁵ ნიკო ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, (თბილისი, 1944), ნაკ. 1.

⁶ ვალერიან გაბაშვილი, საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII საუკუნეებში, 48.

თურქი ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სასურველი იყო ბოლო ხანებში მათ გაეთვალისწინებინათ აღნიშნული წყაროს მონაცემები XVI-XVIII საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის ისტორიის კვლევისას. მათ მიაჩნიათ, რომ ბევრი საკითხი, სრულიად იგნორირებულია თანამედროვე თურქ მკვლევართა შრომებში. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თურქულმა სამეცნიერო საზოგადოებამ გადანყვიტა ამ 285 ტომის ხელახალი გამოცემა. დღეისათვის გამოცემული აქვთ ამ ფონდის დედნისა და მისი ლათინიზირებული ვარიანტის ოცამდე ტომი. გამოცემულია როგორც დედანი, ისე მისი ლათინიზირებული ზუსტი ვარიანტი, რაც საგრძნობლად ამარტივებს ყოველ ტომზე მუშაობას. ეს ძალიან პრომატებადი საქმეა. ამ ტომების გამოცემას დიდი დრო დასჭირდება.

აქვე არ შეიძლება არ ითქვას ოსმალურ ისტორიოგრაფიაზე, ოსმალ ისტორიკოსთა თხზულებებზე. დღეისათვის თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია 417 ოსმალ ისტორიკოსის თხზულება. ამ ისტორიკოსთა თხზულებებში არაერთი უნიკალური ცნობაა დაცული საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ. ეს თხზულებები ინახება სტამბოლის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გამოფენილია ეს წყაროები. აქვე ინახება დედნები ამ ისტორიკოსთა თხზულებებისა.

ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ ამ მემატრიანეთა თხზულებებში დაცული ყველა ცნობის მიკროფირზე გადაღება და საქართველოში ჩამოტანა. იგი ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის. მე კი მისთვის დღემდე სრულებით ვერ მოვიცალე, რადგან მხოლოდ დოკუმენტურ წყაროებზე მუშაობით ვიყავი დაკავებული. ეს საკითხი მომავალი თაობის ამოცანაა. ყველა ამ ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული ცნობა ჩვენ ხელთაა და იგი მომავალ მკვლევარს მოეღოს.

Nodar Shengelia

Mühimme Defteri

Mühimme Defteri is an excellent historical source by reference to the Ottoman Empire and its colonies. The documents in 285 v. are preserved in the archive of the Council of Ministers in Istanbul. Available at the reading hall of the archive, they are freely accessible. The first 20 volumes, a kind of introduction are called Mukademe. Each volume contains some 1300-1500 documents spanning from 1550's to 1780's. Arranged in chronological order, they relate not only about the day-to-day life in the capital but the situation in the countries incorporated in the Empire. Therefore, discovery and study of Mühime Defteri should be very important in terms of the history of the countries in some way connected to the Ottoman Empire. Cutting through the immense information set out in the thousands of documents in order to find the ones concerning Georgia was not an easy task. Meanwhile, the history of Georgia, a fragmented country embroiled in the internal feuds at the time is clearly depicted in several volumes. The stories

relate about the relationships between the rulers of the princedoms of the Georgian provinces of Kartli, Kakheti, Imereti, Guria, Samcgrelo, Ajara and Tao-Klarjeti and their ties with the Empire.

As they familiarize themselves with the documents, the Georgian scholars will probably rank them among the valuable historical sources available in the Georgian language. (Incidentally "mühimme" means "the most important" in Georgian). After they are duly studied and freely available to the academic community, the materials will surely contribute to the Georgian historical studies, moreover inspire the younger generation scholars to examine the sources of the kind.

Apart from Mühimme Defteri I had a formidable task of finding the other sources, both the documentary and narrative depicting the Georgian history. To this end, I carried on my quest in the said and the other archives and libraries in Istanbul. By bringing the above-mentioned documents to Georgia I hopefully made a modest contribution to the historical studies. Most of the materials were transferred to the National Archive of Georgia. Some of the documents though are preserved in my personal archive and I'll do my best to translate them. Unfortunately, I'll hardly be able to do more. The materials are vast indeed and their investigation will take time and the appropriate competence.

Finally, I'd like to say that the Turkish historians are regretful about the failure to refer to the data of the source in their publications. Therefore, the Turkish Historical Society decided to publish all the 285 volumes of Mühimme Defteri, 20 original volumes and their Latinized version having been published so far. Providing the convenience I never had, the publication significantly facilitates scholarly investigation of each volume.